განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბაკალავრიატის აკადემიური საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

დასკვნის წარდგენის თარიღი

07.11.2018

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**203851028**
დაწესებულების სახე	**უნივერსიტეტი**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კულტურული ტურიზმი
განათლების საფეხური	საბაკალავრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ტურიზმის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა დევიძე ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჩიქოვანი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა გვრიტიშვილი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

,,კულტურული ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამის მიზანია ,,ტურიზმის, მენეჯმენტის და ხელოვნებათმცოდნეობითი დარგების სპეციფიკური სინთეზით უზრუნველყოს ქვეყანაში ტურიზმისა და კულტურული ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელი პირობა – მოამზადოს ტურიზმის სფეროში მომუშავე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები“. პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ათვისების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება ტურიზმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (შესაბამისი კოდი 1120).

საბაკალავრო პროგრამა 240 ECTS კრედიტს მოიცავს. პროგრამაში წარმოდგენილია კულტურული ტურიზმის სპეციალობის ძირითადი სავალდებულო ბლოკი და ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი სავალდებულო ბლოკი, რომლებზეც 137 ECTS კრედიტი მოდის, კულტურისა და ხელოვნების ისტორიის ბლოკი, რომელიც 73 ECTS კრედიტით არის წარმოდგენილი და სპეციალობის არჩევითი საგნები - 30 ECTS კრედიტი. პროგრამაში გათვალისწინებულია საკვალიფიკაციო ნაშრომი 15 ECTS კრედიტი და საველე ზონალური პრაქტიკა - 5 ECTS კრედიტი.

აღნიშნული პროგრამებით გათვალისწინებული ერთი ECTS კრედიტი გულისხმობს 25 საათს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 26 სექტემბერს. ვიზიტის ფარგლებში შედგა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და პოტენციურ დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. გადამოწმდა საერთაშორისო სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზებთან წვდომა, სტუდენტთა ელექტრონული ბაზების შესაძლებლობები, სტუდენტთა საბაკალავრო ნაშრომები და პრაქტიკის ანგარიშები.

ინფორმაციის დაზუსტების მიზნით აკრედიტაციის ჯგუფის წევრთა მიერ გამოთხოვილი იქნა სხვადასხვა სახის დოკუმენტები, რომელიც ფაკულტეტის ადმინისტრაციამ მოგვაწოდა შეფერხების გარეშე.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, პროგრამის ხელმძღვანელს და დაინტერესებულ პირებს გააცნეს პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის ძირითადი მიგნებები.

აკრედიტაციის ვიზიტმა ჩაიარა კოლეგიალურ გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  - პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის სწავლის შედეგები მეტწილად აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
  - უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
  - პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი

მეტწილად ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა მეტწილად დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
- პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
- სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
- სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს და მეტწილად ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
- პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
- პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
- პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
- პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
- პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების

ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

რეკომენდაციები

- სასწავლო კურსი -,,ზოგადი ინფორმატიკა, საოფისე პროგრამები", რაც ინფორმატიკის ზოგადი პრინციპების შესწავლას სთავაზობს, შეიცვალოს ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების"კურსით.
- პროგრამის კულტურისა და ხელოვნების ისტორიის ბლოკის გაძლიერების მიზნით პროგრამაში წარმოდგენილი უნდა იყოს ისეთი სასწავლო კურსები, როგორებიცაა კულტუროლოგია, ან კულტურის კვლევების შესავალი; კულტურის ანთროპოლოგია ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ნაცვლად, რადგან სტუდენტები პროგრამაში სწავლობენ ფილოსოფიას; კულტურათშორისო ურთიერთობები; ქართული კულტურა; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობა.
- პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მათემატიკა 1 და 2-ის გაერთანება და სასწავლო კურსის ,,მათემატიკა ტურიზმისთვის" შეთავაზება, რაც მოემსახურება პროგრამის შედეგებს.
- სასწავლო კურსს ,,საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები" განესაზღვროს წინაპირობა.
- პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებლი პერსონალისა და ხარისხის სამსახურის ურთიერთშეთანხმებით, გათვალისწინებულ იქნას ცვლილებები სასწავლო პროგრამაში, კერძოდ, ხელოვნებათმცოდნეობითი საგნების გამსხვილების ხარჯზე, კულტუროლოგიის/კულტურის მეცნიერებათა შესავლის, ქართული კულტურის ისტორიის (ეთნოგრაფიითურთ) და ინტერკულტურული კომუნიკაციის საფუძვლების შეტანა სასწავლო პროგრამაში (მიზანშეწონილია სავალდებულო დისციპლინების სახით), აგრეთვე კულტურის ანთროპოლოგიის არჩევითი კურსის შეთავაზება, ნაცვლად „ანთროპოლოგიისა", ან კიდევ არსებულ სასწავლო კურსში აქცენტის გადატანა კულტურის ანთროპოლოგიის საკითხებზე.
- საბაკალავრო ნაშრომების თემატიკა უნდა შემუშავდეს პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
- პროგრამის სწავლის შედეგების ეფექტიანობის მისაღწევად, მიზანშეწონილია, სტუდენტისათვის მიწოდებული სასწავლო მასალა ეფუძნებოდეს, კლასიკურ ნაშრომებთან ერთად, დარგში/სფეროში გამოცემულ უახლეს ლიტერატურას - როგორც ქართულ, ასევე უცხო ენაზე; ამ უკანასკნელის შესაბამისი ნაწილების ქართული ვერსიები შეიძლება მომზადდეს სასწავლო კურსის რიდერის სახით.
- მიზანშეწონილია, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ამოქმედდეს გაცვლითი პროგრამები და სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში.
- უსდ-მა/ფაკულტეტმა პერმანენტულად უნდა უზრუნველყოს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის ინგლისურ ენაში (საკომუნიკაციო დონეზე ფლობის/სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების დამუშავების კომპეტენცია და ა.შ.) გრძელვადიანი ტრენინგებისა და workshop-ების შეთავაზება. აღნიშნული ინიციატივა ხელს შეუწყობს უსდ-ს, როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის კომპეტენციებისა და უნარების გაღრმავებას, რაც თავის მხრივ შესაძლებლობას მისცემს პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს მონაწილეობა მიიღოს უფრო მეტ საერთაშორისო კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში, შეძენილი ცოდნა გაუზიარონ სტუდენტებს და დაგეგმონ ერთობლივი პროექტები პარტნიორ უნივერსიტეტებთან.
- უსდ-მ უნდა უზრუნველყოს ინტერნაციონალიზაციის მექანიზმის გაძლიერება, პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთობლივი, როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამების შემუშავება, ახალი პრაქტიკის დანერგვა, კვლევით პროექტებში ჩართულობის ზრდა, როგორც ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

- მიზანშეწონილია, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მეტი ინფორმირება არსებული ელექტრონული ბაზებისა და რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია, პროგრამაში წარმოდგენილი იყოს არჩევითი სასწავლო კურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტურიზმის დარგის მართვის თანამედროვე ტექნოლოგიათა დაუფლებას და მმართველობით გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევათა გამომუშავებას.
  - ამჟამად საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის ყველა პროგრამაზე აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არჩევითი საგნებიდან აბარებენ გეოგრაფიას, ისტორიას ან ლიტერატურას. სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - ,,მეოთხე არჩევითი საგანი“ შეირჩეს დარგის/მიმართულების/სფეროს მიხედვით და ითვალისწინებდეს შეთავაზებული პროგრამის სპეციფიკას, კერძოდ, საგნების ზემოთ მოტანილ ჩამონათვალს შეიძლება დაემატოს მათემატიკა, რადგან კულტურული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს უმაღლესი მათემატიკა 1 და 2-ის (I სემესტრი), ბუღალტრული აღრიცხვის (III სემესტრი), აგრეთვე ზოგიერთი სხვა კურსის სწავლებას.
  - სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები მოცემულია მხოლოდ სილაბუსებში. პროგრამის უკეთ აღქმის მიზნით, კურიკულუმში უნდა ჩაემატოს წინაპირობების გრაფა.
  - სასურველია საგნების შეერთება-გამსხვილება და კრედიტების გაზრდა, რომლებიც ხელოვნებათმცოდნეობის სფეროს ეხება (მაგალითად, „მსოფლიო თეატრი ანტიკურიდან განმანათლებლობის ეპოქის თეატრის ჩათვლით“ და „XIX-XX სს მსოფლიო თეატრი“ ისწავლება სავალდებულო საგნების სახით თითო სემესტრი, 3-3 კრედიტის მოცულობით. ამ უკანაკსნელთან ერთად, II სემესტრში არჩევითი კურსების ჩამონათვალში არის საგანი „ქართული თეატრის ისტორია“ – 3 კრედიტი და სხვ.).
  - ამასთან, ბაზარზე არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, სასურველია, პროგრამაში შემოტანილი იქნას მეორე უცხო ენა და სტუდენტს მიეცეს არჩევანის საშუალება ინგლისურსა და სხვა უცხო ენას შორის.
  - პრაქტიკის ორგანიზებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ობიექტის მიზნობრიობა პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით.
  - სილაბუსებში დაფიქსირებას მოითხოვს საკონსულტაციო საათები (კვირაში 1 საათი).
  - სასურველია, კულტურული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე ფაკულტეტმა შეიუმუშავოს ფინანსური გეგმა (ბიუჯეტი), სადაც აისახება პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები, როგორც პერიოდული, ისე ერთჯერადი.
  - ბიუჯეტში ხარჯვითი ლიმიტი შესაძლებელია გამოიყოს ცალეკული კომპონენტების გათვალისწინებით, კერძოდ ხარჯები პრაქტიკა/სტაჟირება სტუდენტებისათვის, სასწავლო/პროგრამული და კვლევითი (სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი) მიზნებისათვის და ა.შ.
  - გარე ხარისხის შეფასების არსებულ ინსტრუმენტებს შესაძლებელია დაემატოს უცხოელი კოლეგების და ექსპერტების მხრიდან პროგრამის შეფასების ინსტრუმენტიც, რითაც გათვალისწინებული იქნება საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

კულტურული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის შეფასებისას გამოვლინდა შემდეგი სახის უპირატესობები, რომლებიც მოცემულ პროგრამას, სხვა პროგრამებთან შედარებით, კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს. კერძოდ,

- პროგრამას მოპოვებული აქვს საკუთარი ნიშა საგანმანათლებლო ბაზარზე, რაც გამოიხატება უნივერსიტეტში კონცენტრირებული ცოდნის, ადამიანური და მატერიალური რესურსების არსებობაში, რაც პროგრამის წარმატებული განხორციელების მთავარი წინაპირობაა.
- უნივერსიტეტს აქვს საკუთარი გამომცემლობა, რაც ხელს უწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ნაშრომების გამოქვეყნებას და საჯარო სივრცეში განთავსებას.
- უნივერსიტეტს გააჩნია სპეციფიკური მოწყობილობები, ფოტო-ვიდეო აპარატურა, სცენები, დარბაზები, რაც მრავალფუნქციურად შეიძლება იქნას გამოყენებული კულტურული ტურიზმის პროგრამის განხორციელებისას და შესაბამისი ტურისტული პროდუქტის შექმნისას.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

საბაკალავრო პროგრამამ ,,კულტურული ტურიზმი“ აკრედიტაცია გაიარა 2011 წლის 25 ნოემბერს, თუმცა იმ პროგრამით კურსდამთავრებულს ენიჭებოდა „ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში ‘’ აკადემიური ხარისხი (კოდი 0205 ტურიზმი).

საკვალიფიკაციო ჩარჩოში შესული ცვლილებების მიხედვით, მას შემდგომ რაც ტურიზმი გადავიდა მიმართულებათაშორისი დარგების ნაწილში, კულტურული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კვალიფიკაცია შეიცვალა კვალიფიკაციით ,,ტურიზმის ბაკალავრი“ (შესაბამისი კოდი ,,1120 ტურიზმი“. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება (04.04.2018, #7).

შესაფასებლად წარმოდგენილ პროგრამაში მოხდა ბიზნესის დამინისტრირებისა და ტურიზმის მენეჯმენტის, ასევე კულტურისა და ხელოვნების ისტორიის ბლოკის საგნების გადამუშავება. ახალ პროგრამაში 22 ECTS კრედიტის მოცულობით წარმოდგენილია ინგლისური ენა, რომელსაც სტუდენტები მესამე კურსის ჩათვლით სწავლობენ; ასევე, ტურიზმის ბაზარზე თვითდასაქმებისთვის საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენის მიზნით პროგრამას დაემატა სასწავლო კურსი ,,ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“. გაძლიერდა უმაღლესი მათემატიკის სწავლების კომპონენტი.

წინა აკრედიტაციის ექპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად ახორციელებს დასაქმების ბაზრის კვლევას და შემუშავებული აქვს დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების აქტიური მონაწილეობის მექანიზმი.

პროგრამის მოქმედების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით უნივერსიტეტში დაინერგა ელექტრონული ჟურნალი და ამოქმედდა სტუდენტთა ელექტრონული ბაზა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კულტურული ტურიზმის საბაკალავროპროგრამის მიზანია ,,ტურიზმის, მენჯმენტის და ხელოვნებათმცოდნეობითი დარგების სპეციფიკური სინთეზით უზრუნველყოს ქვეყანაში ტურიზმისა და კულტურული ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელი პირობა – მოამზადოს ტურიზმის სფეროში მომუშავე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები; მისცეს სტუდენტს ტურიზმის, მენეჯმენტის დარგების, ხელოვნებათა ისტორიების და მომიჯნავე სფეროების ფართო და ზოგადი ცოდნა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; მოამზადოს თანამედროვე პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტ-ანალიტიკოსი, რომელიც პროგრამის ათვისების შედეგად აღიჭურვება ბაკალავრიატის დონის შესაფერისი დარგობრივი/პროფესიული, ასევე ზოგადი კომპეტენციებით და ორიენტირებული იქნება შრომის ბაზრის სულ უფრო მზარდ მოთხოვნებზე არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბით“. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. იგი ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. პროგრამა ასახავს თავის წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და მეტწილად საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე, დარგის, სახელმწიფოს და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს. სპეციალისტების მომზადების საჭიროება დასტურდება შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნით, რომელიც თავის მხრივ განპირობებულია: ,,საქართველოში ტურიზმისა და კერძოდ, კულტურული ტურიზმის განვითარებითა და პერსპექტივებით; თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში კულტურული ტურიზმის სფეროს, როგორც არაკომერციული, ისე კომერციული სექტორების განვითარების ინტერესებით; კულტურული ტურიზმის სფეროს განვითარებისათვის ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ საქმიანობის გააქტიურებით; კულტურული ტურიზმის სფეროს ორგანიზაციების ფინანსური უზრუნველყოფის მდგომარეობის გამწვავებისა და მისი დარეგულირების აუცილებლობით“. პროგრამის მიზანი შეესაბამება როგორც უნივერსიტეტის მისიას, ასევე ფაკულტეტის მიზნებსა და სტრატეგიას. მასში მეტწილად ასახულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები, რაც დასტურდება ინგლისური ენის კომპონენტის ზრდით; გერმანულ მხარესთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, რომლის საფუძველზეც იგეგმება გერმანიაში შესაფასებლად წარმოდგენილი პროგრამის სტუდენტთა სტაჟირება; კურიკულუმის გარე აქტივობებით - საერთაშორისო ფესტივალების და

კონფერენციების სახით, რომელთა ორგანიზატორიც უნივერსიტეტია, თუმცა სუსტად არის წარმოდგენილი სტუდენტებისთვის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის საკითხები. პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია. ყოველწლიურად ტარდება ღია კარის დღე, სადაც ხდება პროგრამების შესახებ ინფორმაციის წარდგენა აბიტურიენტებისთვის. ასევე, პროგრამა განთავსებულია როგორც უნივერსიტეტის ვებ გვერდზე პროგრამების კატალოგში, ასევე ინფორმაცია წარმოდგენილია ეროვნული საგამოცდო ცენტრის საინფორმაციო ბიულეტენებში. შესაფასებელი პროგრამის მიზანი, სტრუქტურა, შედეგები და კომპონენტები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კულტურული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა; ○ უნივერსიტეტის მისია; ○ შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ○ უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php ○ გასაუბრება ფაკულტეტის ადმინიზტრაციასთან სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან; ○ ანკეტური გამოკითხვების შედეგები; ○ ერთიანი ეროვნული საგამოცდო ცენტრის საინფორმაციო ცნობარი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შედეგები ჩამოყალიბებულია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს აღმწერის პირველი საფეხურის სწავლის შედეგებს. შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

პროგრამის შედეგები მეტწილად შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. პროგრამის ერთ-ერთი მიზანია ,,სტუდენტისათვის ტურიზმის დარგის მართვის თანამედროვე ტექნოლოგიათა დაუფლება და მმართველობით გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევათა გამომუშავება", თუმცა სასწავლო კურსებში არ გვხვდება ისეთი დისციპლინა, რომელიც ამ მიზნის მიღწევას უზრუნველყოფს, გარდა სასწავლო კურსისა ,,ზოგადი ინფორმატიკა, საოფისე პროგრამები", რაც ინფორმატიკის ზოგადი პრონციპების შესწავლას სთავაზობს. სტუდენტების თვალსაზრისით, უმჯობესია აღნიშნული კურსი შეიცვალოს ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების" კურსით. ამასთან, სტუდენტებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ შემდგომი დასაქმების მიზნით მნიშვნელოვანია ელექტრონული დაჯავშნის სისტემების პროგრამების ცოდნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია, პროგრამაში წარმოდგენილი იყოს არჩევითისასწავლო კურსები კურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტურიზმის დარგის მართვის თანამედროვე ტექნოლოგიათა დაუფლებას და მმართველობით გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევათა გამომუშავებას.

ამასთან, პროგრამის კულტურისა და ხელოვნების ისტორიის ბლოკში სუსტად არის წარმოდგენილი კულტუროლოგიის სასწავლო კურსები. მიზანშეწონილია, პროგრამაში წარმოდგენილი იყოს ისეთი სასწავლო კურსები, როგორებიცაა კულტუროლოგია, ან კულტურის კვლევების შესავალი; კულტურის ანთროპოლოგია ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ნაცვლად, რადგან სტუდენტები პროგრამაში სწავლობენ ფილოსოფიას; კულტურათშორისო ურთიერთობები; ქართული კულტურა, რომელიც მოიცავს ეთნოლოგიას და ეთნოგრაფიას ; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობა. აღნიშნული სასწავლო კურსების შეთავაზება შესაძლებელია ტურიზმის ორგანიზაციისა და მართვის ბლოკში წარმოდგენილი სასწავლო კურსების - სასტუმროების მომსახურების მენეჯმენტი, ტურიზმის ეკონომიკა (რადგან სწავლობენ ეკონომიკის პრინციპებს) ნაცვლად, სამკურნალო ტურიზმი და კურორტოლოგია, ეკოტურიზმი, რომლებიც ნაკლებად არიან დაკავშირებული კულტურული ტურიზმის პროდუქტთან. პროგრამის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. აღნიშნულიდან გამომდინარე იგი მეტწილად შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. რადგან 2011 წლის აკრედიტებული პროგრამა ანიჭებდა კვალიფიკაციას ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში", ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე პროგრამაში გაძლიერდა უმაღლესი მათემატიკის კომპონენტი. თუმცა ამჟერად შესაფასებლად წარმოდგენილი პროგრამა ამჯერად ანიჭებს ტურიზმის ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს და მიმართულებათშორისი პროგრამის ბლოკშია. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, მათემატიკა 1 და 2-ის გაერთანება და სასწავლო კურსის ,,მათემატიკა ტურიზმისთვის" შეთავაზება, რაც მიზნობრივად მოემსახურება პროგრამის შედეგებს.

პროგრამის შედეგები იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. მის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე: აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. მათ აწვდიან ინფორმაციას სწავლის შედეგების შესახებ. შეფასება ხორციელდება შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის მიხედვით, რომელიც ქულობრივი განაწილების თვალსაზრისით უნიფიცირებულია: 15 ქულა ეთმობა დასწრება-აქტივობას, 25 - საშინაო დავალებებს; 20 - შუალედურ გამოცდას და 40 - საბოლოო გამოცდას. შეფასების მეთოდები მრავალფეროვანია. კერძოდ, საშინაო

დავალებები, ტესტები, ზეპირი და პრაქტიკული გამოცდა, პრეზენტაცია, ქეისებისა და შერულებული სამუშაოების გარჩევა, გამოფენა, პროექტის განხორციელება, პრეფორმანსი, ანგარიშები და სხვა. მათი შერჩევა ხდება სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე. სწავლის შედეგების შეფასება ხდება სისტემატურად, დავალებების წარდგენის, შუალედური გამოცდების, ფინალური გამოცდების და სხვა საშუალებებით. გამოკითხვების პერიოდულობა, ამოცანები და კრიტერიუმები სასწავლო და კვლევითი კომპონენტების გაწერილია სილაბუსებში. ფაკულტეტზე გარკვეული პერიოდულობით (სემესტრულად) ხორციელდება სწავლის შედეგების მონიტორინგი. გამოვლენილი პრობლემატიკის მიხედვით პროგრამის ხელმძღვანელი ადმინისტრაციასთან ერთად ახორციელებს მათი დაძლების გზების მოძიებას და პრობლემების გადაწყვეტას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კულტურული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები; ○ უნივერსიტეტის მისია; ○ შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ○ უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php ○ გასაუბრება ფაკულტეტის ადმინიზტრაციასთან სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან; ○ ანკეტური გამოკითხვების შედეგები. ○ სასწავლო პროცესისი მარეგულიერებელი წესი (აკადამიური საბჭოს N16 დადგენილება. 28.09.2017); ○ „თეორიული კუსრების შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები (აკადამიური საბჭოს N1 დადგენილება. 11.12. 2017); ○ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი (აკადემიური საბჭოს N18/3 დადგენილება. 20.11. 2017).
რეკომენდაციები: ○ სასწავლო კურსი ,,ზოგადი ინფორმატიკა, საოფისე პროგრამები“, რაც ინფორმატიკის ზოგადი პრინციპების შესწავლას სთავაზობს, შეიცვალოს ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების“კურსით. ○ პროგრამის კულტურისა და ხელოვნების ისტორიის ბლოკის გაძლიერების მიზნით პროგრამაში წარმოდგენილი უნდა იყოს ისეთი სასწავლო კურსები, როგორებიცაა კულტუროლოგია, ან კულტურის კვლევების შესავალი; კულტურის ანთროპოლოგია ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ნაცვლად, რადგან სტუდენტები პროგრამაში სწავლობენ ფილოსოფიას; კულტურათშორისო ურთიერთობები; ქართული კულტურა; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობა. ○ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მათემატიკა 1 და 2-ის გაერთანება და სასწავლო კურსის,,მათემატიკა ტურიზმისთვის“ შეთავაზება, რაც მოემსახურება პროგრამის შედეგებს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, პროგრამაში წარმოდგენილი იყოს არჩევითი სასწავლო კურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტურიზმის დარგის მართვის თანამედროვე ტექნოლოგიათა დაუფლებას და მმართველობით გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევათა გამომუშავებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) ○ შესაფასებლად წარმოდგენილ პროგრამაში მოხდა ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის მენეჯმენტის, ასევე კულტურისა და ხელოვნების ისტორიის ბლოკის საგნების გადამუშავება. ახალ პროგრამაში 22 ECTS კრედიტის მოცულობით წარმოდგენილია ინგლისური ენა, რომელსაც სტუდენტები მესამე კურსის ჩათვლით სწავლობენ; ასევე, ტურიზმის ბაზარზე თვითდასაქმებისთვის საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენის მიზნით პროგრამას დაემატა სასწავლო კურსი ,,ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები". გაძლიერდა უმაღლესი მათემატიკის სწავლების კომპონენტი.
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კულტურული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საბაკალავრო პროგრამაზე მიღება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესის" შესაბამისად ხდება. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები/პროცედურები საჯარო და ხელმისაწვდომია, იგი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „კულტურული ტურიზმის" საბაკალავრო პროგრამა;
- საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- უნივერისტეტის ვებ-გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის განმახირციელებლ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ამჟამად საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის ყველა პროგრამაზე აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არჩევითი საგნებიდან აბარებენ გეოგრაფიას, ისტორიას ან ლიტერატურას. სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - ,,მეოთხე არჩევითი საგანი" შეირჩეს დარგის/მიმართულების/სფეროს მიხედვით და ითვალისწინებდეს შეთავაზებული პროგრამის სპეციფიკას, კერძოდ, საგნების ზემოთ მოტანილ ჩამონათვალს შეიძლება დაემატოს მათემატიკა, რადგან კულტურული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს უმაღლესი მათემატიკა 1 და 2-ის (I სემესტრი), ბუღალტრული აღრიცხვის (III სემესტრი), აგრეთვე ზოგიერთი სხვა კურსის სწავლებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კულტურული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით; პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი). საბაკალავრო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მეტწილად პასუხობს მისანიჭებელ კვალიფიკაციას და, ძირითადად, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი) მეტწილად არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული. შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური, გარდა სასწავლო კურსისა ,,საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები", რომელსაც არ გააჩნია წინაპირობა. ამასთან, პროგრამაზე მიღებისას არ ხდება აქცენტირება მათემატიკურ საგნებზე. მიზანშეწონილია, განისაზღვროს სასწავლო კურსისა ,,საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები" წინაპირობა ,,უმაღლესი მათემატიკა 2'-ის სახით.

ამავე დროს, პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები საჭიროებს გარკვეულ მოდიფიცირებას, თანმიმდევრულ და ლოგიკურ სტრუქტურირებას. კერძოდ, სასურველი იქნება, კულტურული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები სწავლობდნენ კულტუროლოგიის/კულტურის მეცნიერებების შესავალს, ქართულ კულტურის ისტორიას ეთნოგრაფიითურთ, აგრეთვე - რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია - ინტერკულტურული კომუნიკაციის საფუძვლებს, რაც დაეხმარებათ კულტურულ განსხვავებათა გაცნობიერებაში და გაუადვილებთ პრაქტიკული საქმიანობის დროს კულტურათაშორისი ბარიერების დაძლევას. მიზანშეწონილი იქნება ამ სასწავლო დისციპლინების შეტანა სავალდებულო საგნების ჩამონათვალში. ასევე, სასურველი იქნებოდა ანთროპოლოგიის არჩევით კურსში აქცენტის გადატანა ფილოსოფიური ანთროპოლოგიიდან კულტურის ანთროპოლოგიაზე. ეს ცვლილებები არ შეუქმნის პრობლემებს პროგრამას, რადგან შეიძლება იმ საგნების გამსხვილება და კრედიტების გაზრდა, რომლებიც ხელოვნებათმცოდნეობის სფეროს ეხება (მაგალითად, „მსოფლიო თეატრი ანტიკურიდან განმანათლებლობის ეპოქის თეატრის ჩათვლით" და „XIX-XX სს მსოფლიო თეატრი" ისწავლება სავალდებულო საგნების სახით თითო სემესტრი, 3-3 კრედიტის მოცულობით. ამ უკანაკსნელთან ერთად, II სემესტრში არჩევითი კურსების ჩამონათვალში არის საგანი „ქართული თეატრის ისტორია" – 3 კრედიტი და სხვ.), მით უფრო, რომ იგივე საგნები არჩევით საგანთა ჩამონათვალშიც შედის და სტუდენტს, ინტერესის შემთხვევაში, შეუძლია მათი აღება.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები მოცემულია მხოლოდ სილაბუსებში. პროგრამის უკეთ აღქმის მიზნით, სასურველია კურიკულუმში ჩაემატოს წინაპირობების გრაფა.

ვიზიტის დროს გადამოწმდა საბაკალავრო ნაშრომების შესრულების ხარისხი. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომებიდან ნაწილი არ იყო შესაბამისობაში ,,კულტურული ტურიზმის" თემატიკასთან (,,აჭარის ბალნორეკრეაციული პოტენციალი", ,,კახეთის ბალნორეკრეაციული პოტენციალი"), თუმცა ქვესაკითხებში განიხილებოდა კულტურულ-ტურისტული პოტენციალის საკითხი. მიზანშეწონილია, შემუშავდეს საბაკალავრო ნაშრომების თემატიკა პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
ამასთან, ბაზარზე არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, სასურველია, პროგრამაში შემოტანილი იქნას მეორე უცხო ენა და სტუდენტს მიეცეს არჩევანის საშუალება ინგლისურსა და სხვა უცხო ენას შორის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- კულტურული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო გეგმა;
- ძირითადი და არჩევითი საგნების სილაბუსები;
- პროგრამის განმახორციელებლ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსს ,,საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები" განესაზღვროს წინაპირობა.
- პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებლი პერსონალისა და ხარისხის სამსახურის ურთიერთშეთანხმებით, გათვალისწინებულ იქნას ზემოთ შეთავაზებული ცვლილებები სასწავლო პროგრამაში, კერძოდ, ხელოვნებათმცოდნეობითი საგნების გამსხვილების ხარჯზე, კულტუროლოგიის/კულტურის მეცნიერებათა შესავლის, ქართული კულტურის ისტორიის (ეთნოგრაფიითურთ) და ინტერკულტურული კომუნიკაციის საფუძვლების შეტანა სასწავლო პროგრამაში (მიზანშეწონილია სავალდებულო დისციპლინების სახით), აგრეთვე კულტურის ანთროპოლოგიის არჩევითი კურსის შეთავაზება, ნაცვლად „ანთროპოლოგიისა", ან კიდევ არსებულ სასწავლო კურსში აქცენტის გადატანა კულტურის ანთროპოლოგიის საკითხებზე.
- საბაკალავრო ნაშრომების თემატიკა უნდა შემუშავდეს პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები მოცემულია მხოლოდ სილაბუსებში. პროგრამის უკეთ აღქმის მიზნით, სასურველია კურიკულუმში ჩაემატოს წინაპირობების გრაფა.
- სასურველია საგნების შეერთება-გამსხვილება და კრედიტების გაზრდა, რომლებიც ხელოვნებათმცოდნეობის სფეროს ეხება (მაგალითად, „მსოფლიო თეატრი ანტიკურიდან განმანათლებლობის ეპოქის თეატრის ჩათვლით" და „XIX-XX სს მსოფლიო თეატრი" ისწავლება სავალდებულო საგნების სახით თითო სემესტრი, 3-3 კრედიტის მოცულობით. ამ უკანაკსნელთან ერთად, II სემესტრში არჩევითი კურსების ჩამონათვალში არის საგანი „ქართული თეატრის ისტორია" – 3 კრედიტი და სხვ.).
- ამასთან, ბაზარზე არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, სასურველია, პროგრამაში შემოტანილი იქნას მეორე უცხო ენა და სტუდენტს მიეცეს არჩევანის საშუალება ინგლისურსა და სხვა უცხო ენას შორის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- სტუდენტთა აზრის გათვალისწინებით, რომელიც სტუდენტთა გამოკითხვების დროს დაფიქსირდა, გაიზარდა უცხო ენის (ინგლისური) სწავლებისათვის განკუთვნილი დრო.

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღსანიშნავია, რომ, ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს.

კულტურული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) და სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, სამუშაო ჯგუფი, დისკუსია/დებატები, დამოუკიდებელი მუშაობა და სხვა) შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა, ძირითადად, შეესაბამება სწავლის სფეროს/დარგის მიღწევებს; თუმცა, რიგ შემთხვევებში, სასწავლო ლიტერატურა საჭიროებს განახლებას: ნაკლებად მოიცავს უკანასკნელი წლების გამოცემებს და, ქართულენოვანი ნაშრომების გარდა, უმთავრესად იფარგლება რუსული ლიტერატურით. (მაგალითად, მსოფლიო კინოს ისტორია; მსოფლიო და ქართული ლიტერატურის ისტორია; მსოფლიო და ქართული მუსიკა; მსოფლიო თეატრი ანტიკურობიდან განმანათლებლობის ეპოქის ჩათვლით (გარდა ერთისა - Oscar G. Brockett. Franklin J.Hildy. History of the theatre, University of Texas at Austin, University of Maryland, Allyn and Bacon. 2003 - ყველა დანარჩენი რუსული ლიტერატურაა); მსოფლიო ხელოვნება აღორძინების ეპოქიდან მე–20 საუკუნის ჩათვლით).

გარდა ამისა, ზოგჯერ სტუდენტს კვირიდან კვირამდე წასაკითხად/დასამუშავებლად ეძლევა ძალიან მცირე მოცულობის (6-10 გვერდი) მასალა მშობლიურ ენაზე, რაც ნაკლებად შეუწყობს ხელს ლექციაზე განხილული საკითხების სიღრმისეულ გააზრებას (მაგალითად, სასწავლო კურსები:,,სოციოლოგია“, ,,ფილოსოფია“).

ამასთან, რიგ სასწავლო კურსებში (პროექტების მენეჯმენტი, მარკეტინგის საფუძვლები,

ბიზნესის საფუძვლები, საერთაშორისო ტურიზმი, სასტუმროების მოსმახურების მენეჯმენტი, ტუროპერეიტინგი) მითითებულია უცხოენოვანი ლიტერატურა სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში.
პროგრამის სწავლის შედეგების ეფექტიანობის მისაღწევად, მიზანშეწონილია, სტუდენტისათვის მიწოდებული სასწავლო მასალა ეფუძნებოდეს, კლასიკურ ნაშრომებთან ერთად, დარგში/სფეროში გამოცემულ უახლეს ლიტერატურას - როგორც ქართულ, ასევე უცხო ენაზე; ამ უკანასკნელის შესაბამისი ნაწილების ქართული ვერსიები შეიძლება მომზადდეს სასწავლო კურსის რიდერის სახით (მაგალითად, სასწავლო კურსებში: ,,პროექტების მენეჯმენტი", ,,მარკეტინგის საფუძვლები", ,,ბიზნესის საფუძვლები", ,,საერთშორისო ტურიზმი", ,,სასტუმროების მომსახურების მენეჯმენტი", ,,ტუროპერეიტინგი").

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კულტურული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სტუდენტებთან, პროგრამის განმახორციელებლ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- პროგრამის სწავლის შედეგების ეფექტიანობის მისაღწევად, მიზანშეწონილია, სტუდენტისათვის მიწოდებული სასწავლო მასალა ეფუძნებოდეს, კლასიკურ ნაშრომებთან ერთად, დარგში/სფეროში გამოცემულ უახლეს ლიტერატურას - როგორც ქართულ, ასევე უცხო ენაზე; ამ უკანასკნელის შესაბამისი ნაწილების ქართული ვერსიები შეიძლება მომზადდეს სასწავლო კურსის რიდერის სახით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული,

სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კულტურული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კულტურული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების გამომუშავებას, კვლევით პროექტებში მათ ჩართვას. სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას. ექსპერტთა ჯგუფთან წარმოდგენილი იყო გერმანიის მხარესთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც შემდგომ საჭიროებს დაზუსტებას - თუ გამოყენებული იქნება ის სტაჟირების თვალსაზრისით. თუმცა დამსაქმებლებთან გასაუბრებაზე წარმოდგენილი იყო სასტუმროს მენეჯერი, რომელმაც აღნიშნა, რომ პროგრამის სტუდენტები არ არიან მოტივირებულნი სასტუმროში გაიარონ პრაქტიკა. სასურველია, პრაქტიკის ორგანიზებისას მიზნობრივად შეირჩეს ობიექტი პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ კულტურული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები; ○ მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან; ○ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ პრაქტიკის ორგანიზებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ობიექტის მიზნობრიობა პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კულტურული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურთან, კურსის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან. სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლება/სწავლის მეთოდები არის მოქნილი, ინტერაქტიული და ითვალისწინებს სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- პროგრამის განმახორციელებლ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ საგნებს უძღვებიან სათანადო კომპეტენციის მქონე პროფესიონალები - აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია დგინდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. უნივერსიტეტში შეფასების სისტემა ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. დაწესებულებას პროგრამის აღწერილობაში მომზადებული აქვს შეფასების სისტემის შაბლონი, რომლითაც ხელმძღვანელობს აკადემიური პერსონალი. თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც ჩაშლილია ერთიანი სქემით: დასწრება – აქტივობა - მაქსიმუმ 15 ქულა; სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დავალებები და სხვ.- მაქსიმუმ 25 ქულა; შუალედური შემოწმება - მაქსიმუმ 20 ქულა; ფინალური გამოცდა - მაქსიმუმ 40 ქულა.პედაგოგი უფლებამოსილია სასწავლო კურსისა და სწავლების კონკრეტული მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, სემესტრული ქულების (60 ქულა) რანჟირება მოახდინოს საკუთარი შეხედულებისამებრ და გაწეროს შესაბამისი კურსის სილაბუსში. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები შეესაბამება კანონმდებლობას და გამჭვირვალეა. სტუდენტი მუდმივად იღებს ინფორმაციას სწავლის შედეგების შესახებ და შეუძლია შედეგის განხილვა პედაგოგთან. ფაკულტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სტუდენტთან ლექტორის ინდივიდუალური შეხვედრებს (გამოყოფს სივრცესა და განსაზღვრავს დროს). სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათთვის შეფასების ფორმები კარგად არის ცნობილი, სამართლიანი და გამჭვირვალეა. ამასთან, ისინი ლექტორებისაგან იღებენ უკუკავშირს საკუთარ შეფასებებთან დაკავშირებით. სტუდენტები ინფორმირებული არიან გასაჩივრების მექანიზმებთან დაკავშირებითაც. თვითშეფასების თანდართული დოკუმენტებიდან და ინტერვიურების პროცესიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტში ხორციელდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კულტურული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ თვითშეფასების თანდართული დოკუმენტები; ○ პროფესორთა ინდივიდუალური კონსულტაციების ცხრილები; ○ პროგრამის განმახორციელებლ პერსონალთან, ადმინისტრაციასა და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ პროგრამის მოქმედების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით უნივერსიტეტში დაინერგა

ელექტრონული ჟურნალი და ამოქმედდა სტუდენტთა ელექტრონული ბაზა.
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე სათანადო კონსულტაციას. დასაქმებაზე შესაბამისი ინფორმაციის მიღება სტუდენტებს ვებ-გვერდის საშუალებით შეუძლიათ. ეს ინფორმაცია ინტერვიუს დროს სტუდენტებმაც დაადასტურეს. აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია საკონსულტაციო საათები (კვირაში 1 საათი). სტუდენტები ინფორმირებული არიან ამის შესახებ, თუმცა სილაბუსებში აღნიშნული ინფორმაცია არ არის მითითებული. სასურველია,

საკონსულტაციო საათები აისახოს სილაბუსებში. აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ საკონსულტაციო საათებს ისინი ძირითადად იყენებენ, რომ სტუდენტებს დაეხმარონ კონფერენციებისათვის მომზადებაში. სტუდენტებიც აღნიშნავდნენ, რომ აქვთ ინფორმაცია სხვა და სხვა ღონისძიებების შესახებ. რაც შეეხება საერთაშორისო აქტივობას, უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო კინოს ფესტივალი, სადაც, საორგანიზაციო საკითხების მხრივ, კულტურული ტურიზმის პროგრამის სტუდენტებიც არიან ჩართულები. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტს სხვა საერთაშორისო აქტივობა, თუ გაცვლითი პროგრამა არ აქვს. სტუდენტებთან გასაუბრებითაც დადასტურდა, რომ მიზანშეწონილია აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ამოქმედდეს გაცვლითი პროგრამები და სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; ○ პერსონალის დატვირთვის სქემა; ○ დანართის სახით წარმოდგენილი სხვა დოკუმენტაცია; ○ ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ამოქმედდეს გაცვლითი პროგრამები და სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სილაბუსებში დაფიქსირებას მოითხოვს საკონსულტაციო საათები (კვირაში 1 საათი).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც

აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კულტურული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პროგრამა მეოთხე სტანდარტის ქვესტანდარტის 4.1. ,,ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა“ მიხედვით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. რადგან პროგრამა მიმართულებათშორისი ხასიათისაა, მასში ჩართულნი არიან ხელოვნების, მასობრივი კომუნიკაციის, სახელოვნებო მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის მიმართულების გამოჩენილი მკვლევარები, მეცნიერები.

აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით. პროგრამაში ჩართულია 11 ძირითადი შტატის აფილირებული აკადემიური პერსიონალი და 19 - მოწვეული. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების პროცესში. აკადემიური პერსონალის სავალდებულო დატვირთვა (სამეცნიერო-პედაგოგიური) გაწერილია მათ ხელშეკრულებებში, უნივერსიტეტში არსებული რეგულაციის (უნივერსიტეტის სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასების წესი) შესაბამაისად. ფაკულტეტზე არსებობს პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა. ამასთან, ყოველწლიურად ისინი წარადგენენ ანგარიშს მათი სასწავლო-სამეცნიერო აქტივობის შესახებ.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება მიმართულების/დარგის შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ნაშრომებით. მისი მოვალეობები გაწერილია ფაკულტეტის დებულებაში. იგი პასუხისმგებელია პროგრამის და სილაბუსების ხარისხისა და სტანდარტთან შესაბამისობაზე.

პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში და აქტიურად არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში. პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის პირადი საქმეები;

- პერსონალის ხელშეკრულებების ნიმუშები;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, ხელშეკრულებები და პირადი საქმე;
- ყოველწლიური ანგარიშები;
- უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კულტურული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა, 4. სტანდარტის ქვესტანდარტი 4.2. „აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება“-ს მიხედვით მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. აღსანიშნავია, რომ უსდ აწარმოებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა (სასწავლო/კვლევითი საქმიანობა) და კმაყოფილების კვლევის შედეგებს და აანალიზებს ამ შედეგებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის (კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული ზრდა), თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი ვერ ახერხებს სრულფასოვნად ჩაერთოს საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა თუ კონფერენციებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უსდ-მა/ფაკულტეტმა პერმანენტულად უზრუნველყოს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის ინგლისურ ენაში (საკომუნიკაციო დონეზე ფლობის/სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების დამუშავების კომპეტენცია და ა.შ.) გრძელვადიანი ტრენინგებისა და workshop-ების შეთავაზება. აღნიშნული ინიციატივა ხელს შეუწყობს უსდ-ს, როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის კომპეტენციებისა და უნარების გაღრმავებას, რაც თავის მხრივ შესაძლებლობას მისცემს პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს მონაწილეობა მიიღოს უფრო მეტ საერთაშორისო კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში, შეძენილი ცოდნა გაუზიარონ სტუდენტებს და დაგეგმონ ერთობლივი პროექტები პარტნიორ უნივერსიტეტებთან. ასევე, მიზანშეწონილია უსდ-მ უზრუნველყოს ინტერნაციონალიზაციის მექანიზმის გაძლიერება, პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთობლივი, როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამების შემუშავება, ახალი პრაქტიკის დანერგვა, კვლევით პროექტებში ჩართულობის ზრდა, როგორც ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში; ○ უსდ- ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; ○ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ უსდ-მა/ფაკულტეტმა პერმანენტულად უზრუნველყოს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის ინგლისურ ენაში (საკომუნიკაციო დონეზე ფლობის/სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების დამუშავების კომპეტენცია და ა.შ.) გრძელვადიანი ტრენინგებისა და workshop-ების შეთავაზება. აღნიშნული ინიციატივა ხელს შეუწყობს უსდ-ს, როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის კომპეტენციებისა და უნარების გაღრმავებას, რაც თავის მხრივ შესაძლებლობას მისცემს პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს მონაწილეობა მიიღოს უფრო მეტ საერთაშორისო კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში, შეძენილი ცოდნა გაუზიარონ სტუდენტებს და დაგეგმონ ერთობლივი პროექტები პარტნიორ უნივერსიტეტებთან. ○ უსდ-მ უნდა უზრუნველყოს ინტერნაციონალიზაციის მექანიზმის გაძლიერება, პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთობლივი, როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამების შემუშავება, ახალი პრაქტიკის დანერგვა, კვლევით პროექტებში ჩართულობის ზრდა, როგორც ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კულტურული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით (აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერები, ფოტო-ვიდეო-ტელე აპარატურა, სახელოსნოები, შემოქმედებითი სივრცეები და ა.შ), რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა, მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის; სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

გასაუბრების პროცესში დადგინდა, რომ სტუდენტთა ელექტრონულიო ბაზების ამოქმედების შედეგად გაჩნდა სასწავლო რესურსებზე წვდომის გამარტივებული შესაძლებლობა, რაც ბაზაში მასალების ელექტრონულ ფორმატს ფულისხმობს, თუმცა სტუდენტებს არ გააჩნდათ ინფორმაცია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების შესახებ, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს. მიზანშეწონილია, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მეტი ინფორმირება არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მეტი ინფორმირება არსებული ელექტრონული ბაზებისა და რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პროგრამას მოპოვებული აქვს საკუთარი ნიშა საგანმანათლებლო ბაზარზე, რაც გამოიხატება უნივერსიტეტში კონცენტრირებული ცოდნის, ადამიანური და მატერიალური რესურსების არსებობაში, რაც პროგრამის წარმატებული განხორციელების მთავარი წინაპირობაა.
- უნივერსიტეტს აქვს საკუთარი გამომცემლობა, რაც ხელს უწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ნაშრომების გამოქვეყნებას და საჯარო სივრცეში განთავსებას.
- უნივერსიტეტს გააჩნია სპეციფიკური მოწყობილობები, ფოტო-ვიდეო აპარატურა, დარბაზები, რაც მრავალფუნქციურად შეიძლება იქნას გამოყენებული კულტურული ტურიზმის პროგრამის განხორციელებისას და შესაბამისი ტურისტული პროდუქტის შექმნისას.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- პროგრამის მოქმედების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით უნივერსიტეტში დაინერგა ელექტრონული ჟურნალი და ამოქმედდა სტუდენტთა ელექტრონული ბაზა.

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კულტურული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა პროგრამისათვის ეკონომიკურად მიღწევადია. უნივერსიტეტის დაფინანსების სხვა სისტემა: სხვა უსდ-ებისგან განსხვავებით იგი ფინანსება კულტურის სამინისტროდან. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროდან გამოყოფილი თანხები მწირია, უნივერსიტეტი ახერხებს პროგრამის უზრუნველყოფას ადამიანური და მატერიალური რესურსით. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოტორო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქციასა და დამტკიცების პროცედურაში მოცემულია, რომ ,,პროგრამას უნდა დაერთოს ინფორმაცია პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ". პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია პროგრამას გააჩნდეს ბიუჯეტი, სადაც განსაზღვრული იქნებოდა ხარჯვითი ლიმიტი პროგრამის განვითარებისათვის ცალკეული კომპონენტების მიხედვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ს ბიუჯეტი;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- მატეერიალურ-ტექნილური რესურსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, კულტურული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე ფაკულტეტმა შეიუმუშავოს ფინანსური გეგმა (ბიუჯეტი), სადაც აისახება პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები, როგორც პერიოდული, ისე ერთჯერადი.
- ბიუჯეტში ხარჯვითი ლიმიტი გამოიყოს ცალეკული კომპონენტების გათვალისწინებით, კერძოდ ხარჯები პრაქტიკა/სტაჟირება სტუდენტებისათვის, სასწავლო/პროგრამული და კვლევითი (სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი) მიზნებისათვის და ა.შ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკრედიტაციის ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ფაკულტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს. ინტერვიურებისას დაგინდა, რომ პროგრამაში ჩართული ყველა ჯგუფი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები მათი თვალსაზრისების გათვალისწინებით, როგორიცაა ინგლისური ენის კომპონენტების ზრდა, საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლების შემოღება, სასწავლო კურსების სწავლებისა და შეფასების მეთოდების განახლება და ა.შ. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე" და ამ პროცესის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული აქვს ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) ფორმა, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია სწავლების სხვადასხვა საფეხურისათვის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები), კურიკულუმის შეფასების ფორმა, სილაბუსის ფორმა და სილაბუსების შემუშავების ინსტრუქცია, სილაბუსის შეფასების ფორმა და საგანმანათლებლო პროგრამების წარდგენისა და დამტკიცების წესი. შიდა ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება როგორც სისტემატურად, ასევე თვითშეფასების ანგარიშების წარდგენის პერიოდში. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიში შევსებულია სრულყოფილად, კვალიფიციურად და

ობიექტურად. თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში გამოიკვეთა სამუშაოების განაწილების, მათი შესრულების და კოორდინირების ცოდნა და უნარები, რაც ხარისხის პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელოვანი კომპონენტია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმეტები;
- სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი პროცესების მარეგულირებელი დოკუმეტები;
- გამოკითხვის შედეგების ანალიზის დოკუმეტები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კულტურული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებულია გარე ხარისხის შეფასების (როგორებიცაა აკრედიტაციისა და ავტორიზაციის ექპერტთა თვალსაზრისები, პროგრამის შეფასებები ქართველი კოლეგების მიერ) შედეგები.

ხარისხის გარე შეფასების ინსტრუმენტია ავტორიზაცია და პროგრამული აკრედიტაცია/უნივერსიტეტის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში (2017 ჩათვლით). გარე თვითშეფასების შედეგები გათვალისწინებულია პროგრამის განვითარებისათვის. მათ შორის, უმაღლესი მათემატიკის, უცხო ენის კომპონენტის ზრდის საკითხები. წინა აკრედიტაციის ექპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად ახორციელებს დასაქმების ბაზრის კვლევას და შემუშავებული აქვს

დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების აქტიური მონაწილეობის მექანიზმი. სასურველია, აღნიშნულ ინსტრუმენტებს დაემატოს უცხოელი კოლეგების და ექსპერტების მხრიდან პროგრამის შეფასების ინსტრუმენტიც, რითაც გათვალისწინებული იქნება საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიშები და თანდართული დოკუმეტები; ○ პროგრამის წინა აკრედიტაციის დასკვნა; ○ კოლეგიალური შეფასებების ამსახველი დოკუმეტები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ გარე ხარისხის შეფასების არსებულ ინსტრუმენტებს შესაძლებელია დაემატოს უცხოელი კოლეგების და ექსპერტების მხრიდან პროგრამის შეფასების ინსტრუმენტიც, რითაც გათვალისწინებული იქნება საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ წინა აკრედიტაციის ექპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად ახორციელებს დასაქმების ბაზრის კვლევას და შემუშავებული აქვს დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების აქტიური მონაწილეობის მექანიზმი.
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკრედიტაციის პროცესში ინტერვიურებისას დადგინდა , რომ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის გზით.ხორციელდება შეფასების შედეგების გაანალიზება და მის საფუძველზე პროგრამის და შეფასების სისტემის მოდიფიცირება. ამასთან, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები რეგულარულად ატარებენ ტრენინგებს და სამუშაო შეხვედრებს პროგრამის ხარისხის ამაღლების საკითხებზე, საკანონმდებლო რეგულაციებში და სტანდარტებში მიმდინარე ცვლილებებზე, რაც საბოლოო ჯამში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება. ყოველსემესტრულად ხორციელდება სასწავლო კურსების შეფასება და შედეგები სასწავლო კურსის, პროგრამის ხელმძღვანელის და ხარისხის სამსახურის უზრუნველყოფის წარმომადგენელთა მიერ გამოიყენება სასწავლო კურსების განვითარებისთვის. აღდნიშნული დადასტურდა სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიშები და თანდართული დოკუმეტები; ○ კოლეგიალური შეფასებების ამსახველი დოკუმეტები; ○ ხარისხის უზურნველყოფის სამსახურის სამუშაო დოკუმენტები; ○ სასწავლო კურსების შეფასების შედეგების ანალიზი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა /ეკა ლეკაშვილი/

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის



სახელი, გვარი, ხელმოწერა /ეკა დევიძე/

სახელი, გვარი, ხელმოწერა  /ნინო ჩიქოვანი/

სახელი, გვარი, ხელმოწერა /ანა გვრიტიშვილი/